



**საქართველოს საერთო სასამართლოების  
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**№ 5/01-2019წ**

**10 ივნისი 2019 წელი**

**საქართველოს საერთო სასამართლოების  
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ  
შემდეგი შემადგენლობით:  
თავმჯდომარე - ამირან ძაბუნაძე  
წევრები: თეა ძიმისტარაშვილი; ნიკოლოზ მარგველაშვილი**

მიღვანი - **თამარ გაგუა**

მხარეები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წარმომადგენელი: **იოსებ ვარძელაშვილი;**

----- სასამართლოს მოსამართლე -----;

დახურულ სხდომაზე განიხილა დისციპლინური საქმე ----- სასამართლოს მოსამართლის ----- მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის ----- გადაწყვეტილებით ----- 2017 წლის 17 ოქტომბრის N---- საჩივრის საფუძველზე დისციპლინური დევნის აღძვრის წინასწარი შემოწმების შედეგად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, ----- სასამართლოს მოსამართლის - ----- მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რომლის საფუძველი გახდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემას საფუძველად დაედო შემდეგი გარემოებები:

----- სხვადასხვა პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის განცხადებით არაერთგზის მომართვისას აღნიშნავდა, რომ მოსამართლე ----- მიზანმიმართულად ამყოფებდა უკანონო პატიმრობაში, რადგან არ აბარებდა ----- განაჩენს და არ ეძლეოდა მისი გასაჩივრების შესაძლებლობა. ----- ერთ-ერთ განცხადებაში ----- უთითებდა, რომ მართალია მორჩა სასამართლო განხილვები ----- სასამართლოში, თუმცა, მოსამართლე ----- თავისი გავლენებით

ხელოვნურად ცდილობდა ----- სააპელაციო სასამართლოში მისი საქმის განხილვის გაჭიანურებას, რადგან არ აგზავნიდა საქმის მასალებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ----- სამმართველოში ----- დაიწყო გამოძიება --- ----- მიმართ, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე.

----- დაკავებულ იქნა 2017 წლის -----.

----- მიმართ დადგენილება ბრალდების შესახებ მიღებულ იქნა 2017 წლის -----, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე - დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა.

----- სასამართლოს 2017 წლის ----- განჩინებით, ბრალდებულ ----- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

----- სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა 2017 წლის -----. საქმის არსებითი განხილვა დაინიშნა 2017 წლის 4 აპრილს.

მოსამართლე ----- საქმე განსახილველად დაეწერა 2017 წლის 27 მარტს.

საქმეზე არსებითი განხილვები ჩატარდა 04/04/2017, 21/04/2017, 05/05/2017, 11/05/2017, 17/05/2017, 22/05/2017, 14/06/2017, 26/06/2017, 07/07/2017, 23/08/2017, 30/08/2017, 05/11/2017, 06/09/2017, 08/09/2017.

----- სასამართლოს მოსამართლის ----- 2017 წლის 20 სექტემბრის განაჩენით, ----- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით.

----- სასამართლოს მიერ განაჩენი მხარეებს (მათ შორის სასჯელადსრულების დეპარტამენტის - დაწესებულებას, მსჯავრდებულ ----- გადასაცემად) გაეგზავნა 2017 წლის 17 ოქტომბრის წერილით. ამასთან, საქმის მასალების თანახმად, ფოსტით გაგზავნის თარიღად მითითებულია - 2017 წლის 3 ნოემბერი, ჩაბარების თარიღად - 2017 წლის 6 ნოემბერი.

----- და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა -----, ----- სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის განაჩენზე სააპელაციო საჩივარი ----- სასამართლოში შეიტანეს 2017 წლის 19 ოქტომბერს, სადაც უთითებენ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის მომენტისთვის მსჯავრდებულს განაჩენი არ ჩაბარებია.

----- პროკურატურის მიერ შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე წარდგენილ იქნა 2017 წლის 27 ოქტომბერს.

საქმე ----- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 12 თებერვალს.

----- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის განაჩენით, გაუქმდა ----- სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენი, ----- უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

----- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის განაჩენი, პროკურატურის მიერ 2019

წლის 23 იანვარს გასაჩივრდა საკასაციო წესით.

მოსამართლე ----- წარმოებაში არსებული და დამთავრებული საქმეების 2017 წლის სტატისტიკური მონაცემები არის შემდეგი - **სულ 881 საქმე, აქედან დაასრულა 762 (86%)**, კერძოდ:

- სისხლის სამართლის საქმე (არსებითი განხილვის ეტაპზე) - 102, აქედან დაასრულა 49 (48%);
- სისხლის სამართლის საქმე (წინასასამართლო სხდომის ეტაპზე) - 79, აქედან დაასრულა 76 (96%);
- სისხლის სამართლის საქმე (ბრალდებულის სასამართლოში პირველად წარდგენის სხდომის ეტაპზე) - 78, აქედან დაასრულა 78 (100%);
- სისხლის სამართლის საქმე (საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობა) - 112, აქედან დაასრულა 112 (100%);
- შუამდგომლობები სისხლის სამართლის საქმეზე - 404, აქედან დაასრულა 404 (100%);
- სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმე - 89, აქედან დაასრულა 26 (29%);
- ადმინისტრაციული საქმე - 1, აქედან დაასრულა 1 (100%);
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებული საქმეები - 16, აქედან დაასრულა 16 (100%).

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა სრულად დაუჭირეს მხარი დისციპლინურ ბრალდებას.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე მოსამართლე -----, აღნიშნა, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში დაგვიანებით გადაგზავნა გამოიწვია პროგრამულად სხდომის ოქმის ჩანაწერის ტექნიკურმა ხარვეზმა, არ ისმინებოდა სხდომის ოქმები რაც განაჩენის პროექტის მომზადებისთვის აუცილებელი იყო. საქმეზე სხდომის ოქმის ჩანაწერები ამოღებულ იქნა მანდატურის სამსახურის დახმარებით, სათვალთვლო კამერიდან რათა მომხდარიყო ოქმის დაბეჭდვა და საქმეში განთავსება. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლის თანაშემწის მეშვეობით ეცნობა ბრალდებულის უფლებადამცველს რათა არ დარღვეულიყო ბრალდებულის ინტერესი და არ წართმეოდა გასაჩივრების უფლება. ბრალდებულის მიერ წარმოდგენილ იქნა საჩივარი, რაც საქმეზე ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა დისციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, მოუსმინა დისციპლინური ბრალდების მხარეს, დადგენილად სცნო დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი მხარე და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სამართლებრივი ხასიათის გარემოებები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>39</sup>-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, სადისციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. მხოლოდ სამივე ამ გარემოების არსებობისას არის დისციპლინური კოლეგია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ამ კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დისციპლინური გადაცდომით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულობის დადგენის სავალდებულობა. თავის მხრივ, ბრალეულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ობიექტური გარემოება, რამაც დისციპლინურ გადაცდომად შერაცხული კონკრეტული ქმედების ჩადენა განაპირობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და, რა იგულისხმება მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

განსახილველ შემთხვევებში, იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს მოქმედი კანონმდებლობა. შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაკაპიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.)

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ

პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის Nდს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golder c. Royaume-Uni, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების

მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ § 40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulen v. Belgium, § 34; Lobo Machado v. Portugal, § 32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ” (Diennet v. France, § 33); „მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ” (Martinie v. France [GC], § 39)).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე - არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნება სააპელაციო სასამართლოში.

განსახილველი შემთხვევაში, დარღვეულია განაჩენის ასლის მსჯავრდებულისათვის გადაცემის ვადა, ნაცვლად 14 დღისა, განაჩენის ასლი გადაეცა ერთი თვისა და 14 დღის ვადაში (20/09/2017 - 06/11/2017). ხოლო საქმე, სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა, სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენიდან - 3 თვეში და 16 დღეში (27/10/2017 - 12/02/2018). მსჯავრდებულმა იმისთვის, რომ დაეცვა განაჩენის გასაჩივრების ერთ თვიანი ვადა, სააპელაციო საჩივარი ----- - სასამართლოში შეიტანა 2017 წლის 19 ოქტომბერს, ბრალდების მხარის მიერ შესაგებელი წარდგენილ იქნა 2017 წლის 27 ოქტომბერს, ხოლო ----- სასამართლოდან ----- სააპელაციო სასამართლოში საქმე გადაიგზავნა 2018 წლის 12 თებერვალს, რაც თავისმხრივ (მოსამართლის მხრიდან მსჯავრდებულისათვის განაჩენის ასლის გადაგზავნის ვადის დარღვევა და საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის დაყოვნების ფაქტი) შეიცავს მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>41</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე” ქვეპუნქტის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: მოსამართლის გამართლების შესახებ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს, ამიტომ ყველა კონკრეტული შემთხვევის დროს ზუსტად უნდა დადგინდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი და შესაბამისად განისაზღვროს დისციპლინური სახდელი, კერძოდ მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება თუ დადასტურდა მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>45</sup>-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია იღებს მოსამართლის გამართლების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ საქმის განხილვის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან მისი ბრალეულად ჩადენა არ დასტურდება.

განსახილველ შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე მოსამართლე ----- მხრიდან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, გამოვლინდა, რომ სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩაწერა განხორციელდა ხარვეზით, კერძოდ, არ ისმინებოდა საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაკითხული პირთა ჩვენებები, რომელიც საჭირო იყო სასამართლო განაჩენის მოსამზადებლად, შედეგად აუცილებელი გახდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეოჩამწერი სისტემის გამოყენებით, სხდომის ოქმის ბეჭდური ვერსიის შექმნა, რასაც დასჭირდა გარკვეული დრო. აღნიშნულმა გამოიწვია, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ასლის მსჯავრდებულისათვის გადაცემის ვადის დარღვევა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაგვიანებით გადაგზავნა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის ოქმის ტექნიკური ხარვეზის შესახებ ბრალდებულის ინტერესების დამცველს ეცნობა დაუყოვნებლივ, რათა არ შეზღუდულიყო ბრალდებულის ინტერესი და განაჩენის გასაჩივრების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე მოსამართლე ----- მხრიდან მსჯავრდებულისათვის განაჩენის ასლის გადაცემის ვადის დარღვევა და სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო სასამართლოში დაგვიანებით გადაგზავნა არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით და შესაბამისად მას არ მიუძღვის ბრალი აღნიშნული დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში.

ამგვარად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები და მიიჩნია, რომ ----- სასამართლოს მოსამართლე ----- უდა გამართლდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულებისათვის წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>41</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 75<sup>45</sup>-ე, 75<sup>52</sup>-ე მუხლით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ----- სასამართლოს მოსამართლე ----- გამართლდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) ჩადენისათვის წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში.
2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და ორგანოებს.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მეშვეობით.

თავმჯდომარე

ამირან დაბუნძე

წევრები:

თეა ძიმისტარაშვილი

ნიკოლოზ მარგველაშვილი